იურიდიული დახმარების სამსახური

მის: დ. აღმაშენებლის გამზ. N140ა,
0112 თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 /32/ 292 00 55
ელ-ფოსტა: council@legalaid.ge
ვებ-გვერდი: www.legalaid.ge

იურიდიული დახმარების საბჭო

№ 90 „22" „ივნისი" 2021 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციის და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების, სამსახურის სტრატეგიის დამტკიცებისა და კვლევის განხორციელების შესახებ იურიდიული დახმარების საბჭოს 2020 წლის 4 ივლისის N75 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ცვლილება შევიდეს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციის და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების, სამსახურის სტრატეგიის დამტკიცებისა და კვლევის განხორციელების შესახებ იურიდიული დახმარების საბჭოს 2020 წლის 4 ივლისის N75 გადაწყვეტილებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

> „1. დამტკიცდეს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციის და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესი და კრიტერიუმები (დანართი N1) და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 2021 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით;

2. ცვლილება შევიდეს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციის და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების, სამსახურის სტრატეგიის დამტკიცებისა და კვლევის განხორციელების შესახებ იურიდიული დახმარების საბჭოს 2020 წლის 4 ივლისის N75 გადაწყვეტილებაში და მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„2. დაევალოს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციის და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების შესრულებაზე ზედამხედველობა და იურიდიული დახმარების საბჭოსათვის მისი იმპლემენტაციის ანგარიშის წარდგენა არაუგვიანეს 2021 წლის 15 სექტემბრისა;

3. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციის და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების, სამსახურის სტრატეგიის დამტკიცებისა და კვლევის განხორციელების შესახებ იურიდიული დახმარების საბჭოს 2020 წლის 4 ივლისის N75 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.

4. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარე: რამაზ ჩინჩალაძე

საბჭოს წევრები:

თამარ გვარამაძე

ესმა ნორაკია

პავლე აბაიაძე

სოფო ჩაჩავა

ირაკლი გვარამაძე